



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 2020 წლის 2-3 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 14.12.2020

თბილისი

2020 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211325653
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მშენებლობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია 0732
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება № 426 09.12.2011.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ღარიბაშვილი სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე წაქაძე სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მეშველიანი სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის №426 გადაწყვეტილებით. პროგრამაზე სწავლა ხორციელდება 2012 წლიდან. აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღია 2021 წლის 31 მარტი

პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 50 კრედიტი.
- ინჟინერიის ზოგადი განათლება - 44 კრედიტი.
- მშენებლობის ინჟინერიის ძირითადი განათლება - 130 კრედიტი.
- ზოგადი პრაქტიკული განათლება - 8 კრედიტი.
- არჩევითი საგნები - 8 კრედიტი.

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კომპონენტში პროგრამა სპეციალობის სასწავლო კურსების პარალელურად სტუდენტებს სთავაზობს ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს.

ინჟინერიის ზოგადი განათლების კომპონენტში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - მათემატიკა, ფიზიკა (თეორიული კურსი და ლაბორატორიული კურსები), ქიმია (თეორიული კურსი და ლაბორატორიული კურსი), ინჟინერიის საფუძვლები.

მშენებლობის ინჟინერიის ძირითადი განათლების კომპონენტში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ძირითადი სპეციალობის თეორიულ, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ კურსებს.

ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი მოიცავს საველე პრაქტიკას და მუშაობას ორგანიზაციაში. საველე პრაქტიკის დროს ყველა პირველკურსელი საქართველოს რომელიმე კუთხეში (ძირითადად დაცულ ტერიტორიებზე) ბანაკდებიან და 10 დღეს საველე პირობებში ატარებენ. სტუდენტები ასუფთავებენ მიმდებარე ტერიტორიას და ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტებს აქვთ საშუალება საკუთარი ინტერესების მიხედვით შეარჩიონ საგნები სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს უფლება აქვთ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გარდა,

დამატებით 15 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები შეისწავლონ დამატებითი გადასახადის გარეშე.

პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები:

- პროგრამის მიზანი.
- სწავლის შედეგები.
- დასაქმების სფეროები.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
- სასწავლო გეგმა.
- ადამიანური და მატერიალური რესურსი.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი.**

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ირმა ღარიბაშვილი - აკრედიტაციის ექსპერტი (თავმჯდომარე)

ვახტანგ ბალავაძე - აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)

ალექსანდრე წაქაძე - აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)

გიორგი მეშველიანი - აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)

2020 წლის 2 და 3 ნოემბერს, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა საქმიანობა წარიმართა დისტანციურად. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუება განახორციელა - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანთან, სტუდენტთა დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორთან, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან, სამეცნიერო სამსახურის კოორდინატორთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, ბიბლიოთეკართან.

ექსპერტებმა დისტანციურად დაათვალიერეს ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და უნივერსიტეტის შიდა გარემო.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნეს ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში საგანმანათლებლო დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ზოგადად, პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. კერძოდ:

- ✓ მეორე სტანდარტთან დაკავშირებით - პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს.
- ✓ დანარჩენ სტანდარტებს რაც შეეხება, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

▪ რეკომენდაციები

აკრედიტაციის პროცესის წარმართვის პროცესში თვითშეფასების ანგარიშის, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარებული ინტერვიუებისა და ადამიანური/მატერიალური რესურსის გაანალიზების საფუძველზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.2.

1. მიზანშეწონილია პროგრამის ქვემოთ მოცემული შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონესთან და ფორმულირდეს სხვაგვარად:
 - კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება.
 - კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება.
 - „კურსდამთავრებულს შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარებისას, ან ობიექტზე პრობლემის წარმოქმნისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი დასკვნის გამოტანა“.
 - „კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად და წერილობით კომუნიკაცია, მათი დასაბუთება და დაცვა“ .

კომპონენტი 2.2.

1. თვითშეფასების დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია გაწერილია შემდეგი ფორმულირებით - „მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი“, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით - „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში“. მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.
2. ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მუხლი 1-იდან ამოღებულ იქნეს 1.4 პუნქტი „საბაკალავრო პროგრამაზე 120 ECTS კრედიტის მიღების შემდეგ, სტუდენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი“.

კომპონენტი 2.3.

1. სასწავლო კურსში „შრომის დაცვა“ სწავლის შედეგი „შეძლება შენობა-ნაგებობებში ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების გამოყენება“ ფორმულირდეს სხვაგვარად. სასწავლო კურსი არ მოიცავს ლაბორატორიულ/პრაქტიკულ კომპონენტს, სადაც სტუდენტი შეძლებს ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების გამოყენებას და პრაქტიკული უნარის შეძენას.
2. იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოიცავს პროექტირებას, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თემატიკასთან. კერძოდ პრაქტიკულ მეცადინეობებში აისახოს პროექტირების საკითხები. (სასწავლო კურსის სილაბუსში „ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები 2“).
3. მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგი „კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „წყალმომარაგება და წყალარინება“ შედეგებთან. სასწავლო კურსის სილაბუსის მიზნებსა და შედეგებში არ არის გაწერილი პროექტირების საკითხები.
4. მიზანშეწონილია „საველე პრაქტიკის“ სასწავლო კურსში გასწორდეს აღწერითი ნაწილი - „ბიზნეს გეგმების შექმნაში დახმარება და უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ბიზნეს ორგანიზაციებისთვის“. აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ცოდნა და უნარები საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტს ვერ ექნება.

კომპონენტი 2.4.

1. სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია და რა ვადით, პრაქტიკისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.

კომპონენტი 2.6.

1. სასწავლო კურსში „ფუძე-სამირკვლების პროექტი“ გაწერილი შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის კრეატიულობის შეფასება“ ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით.
2. სასწავლო კურსში „საველე პრაქტიკა“ გაწერილი შეფასების კრიტერიუმი „პროფესიონალიზმი“, ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 1.1.

1. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში სხვაგვარად ფორმულირდეს შემდეგი ჩანაწერი - „პროგრამის მიზანია პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის დარგის კვალიფიციური ინჟინრის მომზადება“.

ვინაიდან პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული იქნება ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში.

კომპონენტი 2.4.

1. სასურველია სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში. სხვადასხვა უნივერსიტეტებში ტარდება ინჟინერიის (მათ შორის მშენებლობის) მიმართულებით სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მემორანდუმის საფუძველზე ან მის გარეშე შესაძლებელია სტუდენტთა ჩართვა და მონაწილეობის მიღება.
2. სასურველია გაიზარდოს სამშენებლო კომპანიების/საწარმოების რაოდენობა სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.

კომპონენტი 5.1.

1. სასურველია, დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშის პირველი და მეორე სტანდარტის **გასაუმჯობესებელი მხარები** განსაზღვროს სტანდარტების კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად.

კომპონენტი 5.3.

1. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა - ხარჯთაღრიცხვების წარმოება, ფორმა 2-ის შევსება. ასევე, სასურველია შეთავაზებულ იქნეს დამატებით სხვა უცხოური ენების სწავლება (რუსულ ენაზე არსებული ნორმატიული დოკუმენტაციის გამოყენების მიზნით), რომლის ცოდნის მოთხოვნაც არის დასაქმების ბაზარზე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
-
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“ შედგენილია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. ასევე პროგრამა ეყრდნობა შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახულ მიზნებს და ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციას, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს საბაკალავრო პროგრამის გავლის შემდეგ, კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის დარგის კვალიფიციური ინჟინრები; სტუდენტისთვის მშენებლობის დარგის ფართო თეორიული ცოდნის მიცემა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისთვის აუცილებელი უნარჩვევების გამომუშავება; სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების შენობა-ნაგებობების განხორციელების ძირითადი სამშენებლო-საინჟინრო მეთოდებისა და მექანიზმების, საინჟინრო კონსტრუქციების პროექტირება-გაანგარიშების შესწავლას; ისეთი ცოდნის მიცემას და უნარების გამომუშავებას, რაც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს წარმატებული პროფესიული საქმიანობისა და კონკურენტუნარიანობისათვის შრომის ბაზარზე. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მისიას. პროგრამა თავისი სტრუქტურით და შინაარსით ორიენტირებულია სტუდენტებს განუვითაროს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები, რაც მომავალ კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს იყვნენ მოქნილები და წარმატებულები მუდმივად ცვალებად საქმიან სამყაროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
- თვითშეფასების ანგარიში.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.agruni.edu.ge/> (მისია/სტრატეგია/გეგმა).
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში სხვაგვარად ფორმულირდეს შემდეგი ჩანაწერი-„პროგრამის მიზანია პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის

დარგის კვალიფიციური ინჟინრის მომზადება“, ვინაიდან პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული იქნება ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის“ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და დადგენილია მათი ლოგიკური ურთიერთკავშირი, ასევე პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ნათლადაა ჩამოყალიბებული ცალკეული ერთეული ეპიზოდების გარდა, კერძოდ, ქვემოთ ჩამოთვლილი სასწავლო პროგრამის კურიკულუმში მითითებული სწავლის შედეგები მოითხოვს დაზუსტებას: <i>“კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება”</i> სამშენებლო უბანზე პროცესების ზედამხედველობა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს სამშენებლო ტექნოლოგიის, მართვის მექანიზმების გამოყენების ძირეულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, მათ შორის: სამართლებრივი და ტექნიკური ნორმატიული აქტების მოთხოვნათა ასევე სამშენებლო მოედანზე საქმის წარმოების წესებისა და მეთოდების ცოდნას. ასევე უნდა ფლობდეს მშენებლობის მენეჯმენტის (მართვის) საკითხებს და შეეძლოს პრაქტიკულ საქმიანობაში მათი გამოყენება. წარმოდგენილ პროგრამაში აღნიშნული კომპეტენციების დასაუფლებად და შესასწავლად

მოცემულია მხოლოდ ორი სასწავლო კურსი - „მშენებლობის ტექნოლოგია და პროცესების მართვა (5 კრედიტი)“ და „შრომის დაცვა (3 კრედიტი)“. აღნიშნული სასწავლო კურსების და ზოგიერთი სასწავლო კურსის თემატური საკითხების ერთობლიობა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მიიღოს ზოგადი ცოდნა მშენებლობის ზედამხედველობის და უსაფრთხოების საკითხებზე. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოცემულ სწავლის შედეგში დაზუსტდეს სიტყვა „შეუძლია“.

ანალოგიური საკითხია შემდგომ სწავლის შედეგთან დაკავშირებით.

„კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება“

ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ დაპროექტების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად განპირობებულია როგორც თეორიული საკითხების სიღრმისეული ცოდნით ასევე პროექტანტის პრაქტიკული გამოცდილებით, მითუმეტეს, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული კომპეტენცია ვფიქრობთ მეტად შესაფერისი იქნება მაგისტრატურის სტუდენტისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამაში ეს მიმართულება წარმოდგენლია ორი სასწავლო კურსით: „წყალმომარაგება და წყალარინება (4 კრედიტი)“ და „გათბობა და ვენტილაცია (4 კრედიტი)“. თქვენს მიერ წარმოდგენილ სწავლის შედეგზე სტუდენტი გავა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასწავლო კურსებში გარდა ამ მიმართულებით თეორიული ცოდნისა, დაპროექტების საკითხებიც სრულად იქნება გაშლილი. ასევე, ცოდნის მიღების პროცესში სტუდენტს ექნება შესაძლებლობა დამოუკიდებლად იმუშაოს და წარმოადგინოს სრულყოფილად დამუშავებული პროექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ დასაზუსტებელია სწავლის შედეგი.

„კურსდამთავრებულს შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარებისას, ან ობიექტზე პრობლემის წარმოქმნისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი დასკვნის გამოტანა“

„კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად და წერილობით კომუნიკაცია, მათი დასაბუთება და დაცვა“

ანალოგიურად წინა შემთხვევისა სწავლის ეს შედეგიც მეტად შეესაბამება მაგისტრატურის კურსდამთავრებულს, განსაკუთებით ეს შენიშვნა შეეხება „...დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზების განსაზღვრა...“-ს. რადგან ბაკალავრის კომპეტენცია შეუძლებელია იყოს ისეთი, რომ მას შეეძლოს ნებისმიერი შენობა-ნაგებობის, საინჟინრო ქსელების ან სხვათა პროექტირება და მითუმეტეს, ალტერნატიული მიმართულებების განსაზღვრა. შესაბამისად, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს არ შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარება და არც დაპროექტებისას ალტერნატივების შერჩევა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვა, შეფასება და ანალიზი, რაც თავის

მხრივ ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს. პროგრამის შემადგენელ თითოეულ სასწავლო კურსში, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსალოდნელი სწავლის შედეგები და გაწერილია მათი შეფასების მექანიზმები.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც აღწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმები, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებს მშენებლობის დარგის სპეციფიკას. დაწესებულებაში გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები. პროცესში ჩართულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ისე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა. გარდა ამისა, პერმანენტულად ხდება შრომის ბაზრის ტენდენციების, დამსაქმებელთა მოთხოვნების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოთხოვნების დაზუსტება და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა არსებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში და განხილვაში ჩართული დაინტერესებული პირების შეხვედრებისა და სამუშაო პროცესის საკითხები არ არის გაწერილი ოქმების ან სხვა სახის დოკუმენტის სახით. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ოქმების ან სხვა სახის დოკუმენტების შედგენა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და შესაბამისად შესაძლოა საქმე შეუსრულებელი დარჩეთ.

პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სილაბუსები.
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა.
- ბაკალავრიატის დებულება.
- ინტერვიუები ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან.
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
- მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
- მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის

კვლევა. ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.agruni.edu.ge/
რეკომენდაციები: 1. მიზანშეწონილია პროგრამის ქვემოთ მოცემული შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონესთან და ფორმულირდეს სხვაგვარად: -კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება. -კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება. -„კურსდამთავრებულს შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარებისას, ან ობიექტზე პრობლემის წარმოქმნისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი დასკვნის გამოტანა“. -„კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად და წერილობით კომუნიკაცია, მათი დასაბუთება და დაცვა“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	----------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. კერძოდ:

სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და

მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობები და ინფორმაცია არის საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი. ისინი ყოველწლიურად ქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე დაშვების მოცემული პირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“. ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.agruni.edu.ge/. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი“. დოკუმენტში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები - ზოგადი დებულებები (მუხლი 1); შეფასების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული (მუხლი 2), თვითშეფასება როგორც ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების ერთერთი მექანიზმი (მუხლი 3); საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები (მუხლი 4); საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა (მუხლი 5); სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა (მუხლი 6); სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა (მუხლი 7); სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (მუხლი 8); სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები (მუხლი 9); ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების შემუშავებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და პირები (მუხლი 10).

პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების კომპონენტში პროგრამა სპეციალობის სასწავლო კურსების პარალელურად სტუდენტებს სთავაზობს ზოგად საუნივერსიტეტო საგნებს.
- ინჟინერიის ზოგადი განათლების კომპონენტში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა - მათემატიკა, ფიზიკა (თეორიული კურსი და ლაბორატორიული კურსები), ქიმია (თეორიული კურსი და ლაბორატორიული კურსი), ინჟინერიის საფუძვლები.
- მშენებლობის ინჟინერიის ძირითადი განათლების კომპონენტში პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ძირითადი სპეციალობის თეორიულ, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ კურსებს.
- ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი მოიცავს საველე პრაქტიკას და მუშაობას ორგანიზაციაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტებს აქვთ საშუალება საკუთარი

ინტერესების მიხედვით შეარჩიონ საგნები სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს უფლება აქვთ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების გარდა, დამატებით 15 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები შეისწავლონ დამატებითი გადასახადის გარეშე.

პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები:

- პროგრამის მიზანი.
- სწავლის შედეგები.
- დასაქმების სფეროები.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.
- სწავლებისა და სწავლის მეთოდები.
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.
- სასწავლო გეგმა.
- ადამიანური და მატერიალური რესურსი.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგები. სწავლის შედეგებიდან აღსანიშნავია შემდეგი ჩანაწერი:

1.სწავლის შედეგი - „კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება“;

უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ სამუშაო გარემოში კურსდამთავრებულს შეუძლია უსაფრთხოების წესების დაცვით სამუშაოების განხორციელება/წარმოება. უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებას მომავალი სპეციალისტი შეძლებს მას შემდეგ, რაც დამატებით გაივლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღიარებულ „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამას“.

2.სწავლის შედეგი - „კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება“.

აღსანიშნავია, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ მე-6 დონის განმარტების მიხედვით, მომავალ სპეციალისტს შეუძლია „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად“. პროგრამის ფარგლებში, კონკრეტულ შედეგზე გასასვლელად სტუდენტი შეისწავლის ერთ სასწავლო კურსს „წყალმომარაგება და წყალარინება“ (4 კრედიტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოცემული ორი შედეგი ფორმულირებულ იქნეს სხვაგვარად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შინაარსი მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რის შედეგადაც აღნიშნული კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილ შესაბამისობად.

<u>ინტერვიუებისას, პროგრამის ხელმძღვანელმა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა გაიზიარეს ექსპერტთა მოსაზრებები და აღნიშნეს, რომ პროგრამის შედეგებში შეიტანენ ცვლილებებს.</u> პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მისანიჭებელი კვალიფიკაცია <u>მეტწილად შესაბამისობაშია</u> პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. <u>“ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში”</u> განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაციები. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 1-ის 1.4 პუნქტში არის შემდეგი ჩანაწერი - <u>„საბაკალავრო პროგრამაზე 120 ECTS კრედიტის მიღების შემდეგ, სტუდენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი“.</u> <u>სწავლის სფეროების კლასიფიკატორი არ ცნობს აღნიშნულ შუალედური კვალიფიკაციას და დამადასტურებელ სერტიფიკატს.</u> აღნიშნული განხილულ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებთან. მათ აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ ექსპერტთა რეკომენდაციას ჩანაწერის დოკუმენტიდან ამოღების თაობაზე.	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“. ○ კურიკულუმის რუკა. ○ სილაბუსები. ○ სემესტრული გეგმა. ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.agruni.edu.ge/. ○ ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულება. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: 1. თვითშეფასების დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია გაწერილია შემდეგი ფორმულირებით - „მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი“, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით - „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში“. მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. 2. „ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულების“ მუხლი 1-იდან ამოღებულ იქნეს 1.4 პუნქტი „საბაკალავრო პროგრამაზე 120 ECTS კრედიტის მიღების შემდეგ, სტუდენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი“.	რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინტერვიუებისას დადგინდა, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი ლექტორის მიერ შემუშავებულია სილაბუსი. სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები:

- სასწავლო კურსის დასახელება
- სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა
- სასწავლო კურსის კოდი
- აკადემიური წელი
- სემესტრი
- სასწავლო კურსის ტიპი (ძირითადი, არჩევითი)
- სწავლების ენა
- ლექტორის ვინაობა
- ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია
- აუდიტორიის ნომერი
- დამატებითი კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია
- სასწავლო კურსის აღწერა
- პრერეკვიზიტი
- სასწავლო კურსის მიზანი
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

- სწავლებისა და სწავლის მეთოდები
- შეფასების სისტემა
- შეფასების შკალა
- სასწავლო მასალები
- კალენდარული გეგმა
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მოთხოვნები

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 1 კრედიტი მოიცავს 30 საათს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა მოიცავს სფეროს აქტუალურ მიღწევებს, თანამედროვე ტენდენციებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ გარკვეული სასწავლო კურსების სილაბუსების საფუძველზე გაიწერა რეკომენდაციები, კერძოდ:

სასწავლო კურსი - შრომის დაცვა (ლექცია, სემინარი): სწავლის შედეგში გაწერილია - „შეეძლება შენობა-ნაგებობებში ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების გამოყენება“. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ლაბორატორიული/პრაქტიკული სამუშაო არ აქვს, სადაც სტუდენტი შეძლებს ხანძრის ქრობის ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია სწავლის შედეგის ფორმულირების ცვლილება.

სასწავლო კურსი - ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები 2. სწავლის შედეგში გაწერილია - 1. შეეძლება ცალკეული კონსტრუქციების მუშა ნახაზების მომზადება და პრეზენტაცია, როგორც დამკვეთისათვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისათვის; 2. შეეძლება გაანგარიშების შედეგად მიღებული შედეგების შესაბამისად რკინაბეტონის კონსტრუქციების კონსტრუირება, ნორმატიული მასალების მოთხოვნების მიხედვით. აღნიშნული ჩანაწერებიდან გამომდინარე, სტუდენტმა პრაქტიკულ მეცადინეობებზე უნდა შეასრულოს (ცალკეული კონსტრუქციების) დაპროექტება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, რაც სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილ თემატიკაში (პრაქტიკული მეცადინეობები) არ ჩანს.

სასწავლო კურსი - წყალმომარაგება და წყალარინება. საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილია სწავლის შედეგი - „კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება“. სასწავლო კურსის სილაბუსის მიზანია „სტუდენტმა შეისწავლოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები. გააცნობიეროს სამოქალაქო წყალმომარაგებისა და წყალარინების ძირითადი ამოცანები. გაეცნოს წყლის თვისებებს და წყალგამწმენდი ნაგებობებს. განუვითარდეს სატუმბო სადგურებში წყალმომარაგების ტუმბო დანადგარებზე მუშაობის უნარ-ჩვევები“. სასწავლო კურსის მიზანში არ არის განსაზღვრული პროექტირების საკითხების შესწავლა. სასწავლო კურსის შედეგები ასევე არ ითვალისწინებს პროექტირების საკითხებს. ექსპერტთა მიერ განისაზღვრა რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტს განესაზღვრა მეტწილი შესაბამისობა. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნება რეკომენდირებული საკითხები.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. საკონტაქტო საათები გადანაწილებულია ლოგიკურად. კრედიტები უფრო მეტია იმ კურსებში, რომლებსაც მეტი საკონტაქტო დრო სჭირდება, ხოლო ნაკლებია დამოუკიდებელ სამუშაოებზე ორიენტირებული კურსებში.

სასწავლო კურსის - საველე პრაქტიკა. სილაბუსის აღწერით ნაწილში მოცემულია შემდეგი - „ბიზნეს გეგმების შექმნაში დახმარება და უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ბიზნეს ორგანიზაციებისთვის“. ექსპერტთა აზრით, პირველი კურსის სტუდენტს ვერ ექნება აღნიშნული საქმიანობის განხორციელების ცოდნა და უნარები. ექსპერტთა მიერ გაიწერა რეკომენდაცია.

ძირითადი სფეროს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შინაარსი **მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.** ხოლო რამოდენიმე სასწავლო კურსის შინაარსი მეტწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“.
- კურიკულუმის რუკა..
- სემესტრული გეგმა.
- სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები.
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო მასალა/რესურსი.

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსში „შრომის დაცვა“ სწავლის შედეგი „შეძლება შენობა-ნაგებობებში ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების გამოყენება“ ფორმულირდეს სხვაგვარად.
2. იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოიცავს პროექტირებას, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თემატიკასთან (პრაქტიკული მეცადინეობები).
3. მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგი **„კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება“** შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „წყალმომარაგება და წყალარინება“ შედეგებთან.
4. მიზანშეწონილია „საველე პრაქტიკის“ სასწავლო კურსში გასწორდეს აღწერითი ნაწილი - „ბიზნეს გეგმების შექმნაში დახმარება და უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ბიზნეს ორგანიზაციებისთვის“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსს - „მუშაობა ორგანიზაციაში“ (5 კრედიტი), რომელიც დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და მორგებულია თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ კვლევით ინტერესს. აღნიშნული სასწავლო კურსის უზრუნველსაყოფად, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ ორგანიზაციებთან:

- კომპანია შპს „ლობი“: საქმიანობა - საოფისე და საოჯახო საქონელით ვაჭრობა.
- კომპანია შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“: საქმიანობა - გზებისა და ხიდების მშენებლობა და სხვ.
- მემორანდუმები ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და მუზეუმებს შორის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მემორანდუმებში არ არის განსაზღვრული ინფორმაცია კონკრეტულ კომპანიაში/საწარმოში პრაქტიკაზე (სასწავლო კურსი - მუშაობა ორგანიზაციაში (5 კრედიტი)) მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა და სტუდენტთა კომპანიაში ყოფნის ვადები. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიწერა რეკომენდაცია.

სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტებს ზედამხედველობას უწევენ კომპანიის კვალიფიციური წარმომადგენლები. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტის ბაზაზე, სტუდენტებს ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობას უწევენ კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და ლაბორანტები, დარგის სპეციალისტები. აღნიშნული დასტურდება მათი პირადი საქმეების შემოწმებით.

სტუდენტებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სამეცნიერო კონფერენციებში ვერ ერთვებიან, ვინაიდან არ ტარდება მშენებლობის მიმართულებით აღნიშნული ღონისძიებები.

ინტერვიუებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებენ იულიხის კვლევით ცენტრთან ინჟინერიის პროგრამის სტუდენტთა გაგზავნის მიზნით. მუშაობენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით მშენებლობის მიმართულებით.

ექსპერტთა აზრით, პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით²² პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სილაბუსები.
- კურიკულუმი.
- ლაბორატორიები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დოკუმენტაცია.
- ინტერვიუს შედეგები.
- საველე პრაქტიკის ნიმუშები.
- პრაქტიკის ობიექტებთან და უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია კომპანიას და რა ვადით, პრაქტიკისა (სასწავლო კურსი - მუშაობა ორგანიზაციაში (5 კრედიტი)) და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში. სხვადასხვა უნივერსიტეტებში ტარდება ინჟინერიის (მათ შორის მშენებლობის) მიმართულებით სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მემორანდუმის საფუძველზე ან მის გარეშე შესაძლებელია სტუდენტთა ჩართვა და მონაწილეობის მიღება.
- სასურველია გაიზარდოს სამშენებლო კომპანიების/საწარმოების რაოდენობა სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, გამოყენებულია სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- სწავლების ვერბალური მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- ლაბორატორიული მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქტიული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- თანამშროლობითი სწავლება
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში
- შემთხვევების შესწავლა
- პროექტირება

სილაბუსში მითითებულია, რომ ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში. სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება შემდეგი შეფასების ფორმები:

- საშინაო დავალებები
- ტესტები
- პრაქტიკული გამოცდა
- პრეზენტაცია
- შესრულებული სამუშაოების გარჩევა
- ლაბორატორიული დავალებები

• პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების გაზომვის მეთოდები გაწერილია სილაბუსებში. პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა. ○ სასწავლო კურსების სილაბუსები. ○ უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ბაკალავრიატის დებულება, გამოცდების ჩატარების წესი, სტუდენტის ეთიკის კოდექსი, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები) შესწავლისას დადგინდა,

რომ შეფასების სისტემა მრავალკომპონენტანია. ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. სასწავლო კურსების სილაბუსებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის, დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა მოიცავს ძირითადად შემდეგ კომპონენტებს:

- დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება
- აქტიურობის შეფასება
- შუალედური გამოცდები
- საშინაო დავალებები
- ქვიზები
- პრაქტიკული სამუშაოები
- ლაბორატორიული სამუშაოები
- პროექტები
- ანგარიშები
- წერითი ნაშრომები
- ზეპირი გამოკითხვა
- პრეზენტაციები
- ღია/დახურული ტესტები
- დასკვნითი გამოცდები.

ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ კრიტერიუმების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. შეფასების სისტემა შეესაბამება სწავლის შედეგებს და სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია.

ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, სასწავლო კურსში მოცემული შეფასების სისტემა გაწერილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების (2007 წლის წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად. მისი განმარტებით, სილაბუსში გაწერილი რუბრიკების და ქულების გრადაციის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ მიღწეული ცოდნის დონის შესაბამის როგორ შეფასებას იღებს. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის გაწერილი რუბრიკები და დეტალურად აღწერილი კრიტერიუმები საშუალებას აძლევს ლექტორს ობიექტურად და სამართლიანად შეაფასოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები საგნის ფარგლებში. ცოდნის შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირის დაბრუნება. უკუკავშირი გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები. აღნიშნული საკითხები ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სტუდენტებთან ინტერვიუებისას. მათ დაადასტურეს დაწესებულების მიდგომა შეფასებასთან დაკავშირებით.

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის გამოყენებით. ქულების განაწილება და განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

- ფრიადი - შეფასება 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81-90 ქულამდე;

- კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა; ი დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა;
- ჩააბარა - მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა;
- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა; ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი მუშაობა საგნის ჩასაბარებლად და ეძლევა კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ ჩააბაროს დამატებითი გამოცდა, დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;
- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 და ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი. შეფასების მთავარი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტებში/კურსში, განსაზღვრულია სილაბუსების შეფასების ნაწილში.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ სასწავლო კურსის სილაბუსში „ფუძე-სადირკვლების პროექტი“, დასკვნითი შეფასება ხორციელდება კრიტერიუმების მიხედვით. ერთ-ერთი კრიტერიუმია - სტუდენტის კრეატიულობა (ფასდება 10 ქულით). ინტერვიურებისას სასწავლო კურსის წამყვანმა პროფესორმა აღნიშნა, რომ სტუდენტი განსაზღვრავს, თუ რომელი ტიპის სადირკველი უნდა იქნეს შერჩეული კონკრეტულ მომენტში (დავალების შესაბამისად). ექსპერტთა აზრით ეს არის შეძენილი ცოდნის გამოყენება პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას და არა კრეატიულობა. თუმცა, პროფესორი არ დაეთანხმა ექსპერტებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე გაიწერა რეკომენდაცია.**

ასევე, სასწავლო კურსის სილაბუსში „საველე პრაქტიკა“, პრაქტიკის ხელმძღვანელის ჯამური შეფასების პუნქტში მითითებულია შეფასების კრიტერიუმები. ერთ-ერთი კრიტერიუმია „პროფესიონალიზმი“ (ფასდება 6 ქულით). სასწავლო კურსების განმახორციელებელ პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიურებისას, აღნიშნულთან დაკავშირებით არ იქნა განმარტება გაკეთებული მათი მხრიდან. ექსპერტთა აზრით პროფესიონალიზმის შეფასება შეუძლებელია. **აღნიშნულთნ დაკავშირებით გაიწერა რეკომენდაცია.**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ბაკალავრიატის დებულება.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.agruni.edu.ge/>.
- გამოცდების ჩატარების წესი.
- ინტერვიურების შედეგები.
- გარე მობილობის წესი.
- შიდა მობილობის წესი.

რეკომენდაციები: 1.სასწავლო კურსში „ფუძე-სამირკვლების პროექტი“ გაწერილი შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის კრეატიულობის შეფასება“ ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით. 2.სასწავლო კურსში „საველე პრაქტიკა“ გაწერილი შეფასების კრიტერიუმი „პროფესიონალიზმი“, ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და მარეგულირებელ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხები.

უნივერსიტეტში შემუშავებულია ისეთი დოკუმენტაცია, როგორებიცაა:

- სტუდენტის ეთიკის კოდექსი.
- გამოცდების ჩატარების წესი.
- გარე მობილობის წესი.
- შიდა მობილობის წესი.
- სტრუქტურული ერთეულების დებულება.

აღნიშნული დოკუმენტები საჯაროდ დევს ვებ-გვერდზე (<http://agruni.edu.ge/ge/documents>). ცალკეულ დოკუმენტებში მითითებულია სტუდენტის უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები. ბაკალავრიატის დებულებასა და სტუდენტის ეთიკის კოდექსში გაწერილია სტუდენტთა უფლებები აკადემიურ პროცესში. ასევე მოცემულია, თუ როგორ ხდება სხვადასხვა გარემოებებში სტუდენტის კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა.

სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ შეტყობინება სხვადასხვა ღონისძიებებისა და საკითხების შესახებ, ასევე საჭირო დოკუმენტაციაზე წვდომის ბმულები ეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე. მათ აღნიშნეს, რომ დღის ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაკავშირება სტუდენტების დეკანთან საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. მათ აქვთ წვდომა საგანმანათლებლო პროგრამაზე, სასწავლო კურსების სილაბუსებზე, სასწავლო რესურსზე. ისინი იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის შეფასების პროცესებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსის და სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორების შეფასებას ახდენენ კითხვარების საშუალებით ელექტრონულად ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ. მესამე კურსის სტუდენტმა აღნიშნა, რომ ის უნივერსიტეტმა დაასაქმა, როგორც მენტორი. მან გაიარა გამოცდა და გასაუბრება აღნიშნული სტატუსის მისაღებად. ის დახმარებას უწევს დაბალი კურსის სტუდენტებს გარკვეული სასწავლო კურსების უკეთ შესწავლაში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას ვერ იღებენ, ვინაიდან არ ტარდება ასეთი კონფერენციები. მათ სტუდენტების დეკანს გააცნეს სურვილი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებენ იულიხის კვლევით ცენტრთან ინჟინერიის პროგრამის სტუდენტთა გაგზავნის მიზნით. მუშაობენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით მშენებლობის მიმართულებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლები არიან საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი და მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ყოველთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ მას. გარდა ამისა, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა და სასწავლო კურსების სილაბუსებში კონსულტაციისთვის გამოყოფილია საათები.

სტუდენტებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისთანავე უფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ნებისმიერ ფორმალურ ურთიერთობას. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა ხელშეკრულების ნიმუში, სადაც განსაზღვრულია სტუდენტის უფლებები. დოკუმენტი წარმოადგენს იურიდიულ გარანტს, რომ სტუდენტის უფლებები და პირადი ინფორმაცია სრულად იქნება დაცული.

აღსანიშნავია, რომ საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ყველა სტუდენტისთვის პირველი სასწავლო წელი საერთოა. სტუდენტები პირველი სასწავლო წლის ბოლოს იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა მიმართულებას აირჩევენ. ისინი თავისი პროფილის განსაზღვრის შესახებ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტში არსებული სერვისების საშუალებით. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუებით საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში სტუდენტების უფლებების მხარდაჭერას ინსტიტუციონალიზებულიად ახდენს სტუდენტების დეკანი. ის ხელმძღვანელობს სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურს. ის არის ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლი სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის და აჟღერებს სტუდენტთა პრობლემებსა და საჭიროებებს. ინტერვიუებისას სტუდენტების დეკანმა აღნიშნა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები საჭიროების შემთხვევაში მას უკავშირდებიან ნებისმიერ დროს. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას.

სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურაში შედის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, რომლის მთავარი ფუნქციაა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ დასაქმების მენეჯერი მიმდინარე ვაკანსიების შესახებ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას. სტუდენტებს უტარდებათ კონსულტაციები და ეძლევათ რეკომენდაციები CV-ის შედგენასა და გასაუბრების ტექნიკაზე. დასაქმების ოფისი ყურადღებით აკვირდება დასაქმებული სტუდენტებისა თუ კურსდამთავრებულების შედეგებს კომპანიებში და პერიოდულად იღებს უკუკავშირის დამსაქმებლებისგან უნივერსიტეტის მიერ თავის დროზე გაგზავნილ კანდიდატებთან დაკავშირებით. მათი აზრით, ეს პროცესი ეხმარება

უნივერსიტეტს უკეთ დაიგეგმოს სტუდენტების კარიერული განვითარების პროცესი.

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები.
- ბრძანება №15-03/05-01 „უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს შექმნისა და ეთიკის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- სტუდენტის ეთიკის კოდექსი.
- სტრუქტურული ერთეულების დებულება.
- წესდება
- თვითშეფასების ანგარიში.
- გამოცდების ჩატარების წესი.
- გარე მობილობის წესი.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.agruni.edu.ge/>.
- შიდა მობილობის წესი.

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფასდება მხოლოდ ბაკალავრიატის პროგრამა „მშენებლობა“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები -
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) – 55.

აკადემიურ პერსონალში უსდ მოიაზრებს ყველა სახის პროფესორს და ლექტორს, რომლებიც არიან დასაქმებული უნივერსიტეტში სრული დატვირთვით. ხოლო, სამეცნიერო პერსონალში უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს (აკადემიური, არაკადემიური, და მოწვეული), ვინც ჩართულია სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში.

სულ აკადემიური პერსონალი - 23, აქედან: პროფესორი - 16; ასოცირებული პროფესორი -3; ასისტენტ პროფესორი - 4; ასისტენტი -0.

სამეცნიერო პერსონალი 24, აქედან: მეცნიერი 24; პოსტდოქტორანტი 0.

სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 21, აქედან: აფილირებული პროფესორი 15; აფილირებული ასოცირებული პროფესორი 2; აფილირებული ასისტენტ პროფესორი 4; აფილირებული ასისტენტი 0.

სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი 29.

წარმოდგენილი თანაფარდობები (დათვლილია მოქმედი პროგრამის შემთხვევაში):

- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 1:2.8(21/59)

- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 1:1.07 (55/59)

- აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 1:1.2 (24/29)

- ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა - N/A

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - 26

აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ: პენსიაზე გასულთა რაოდენობა, დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.) წასული პერსონალი - 1.85%

მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ: პენსიაზე გასულთა რაოდენობა, დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.) - ახალი პერსონალი - 20% და წასული პერსონალი - 20%

აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში და შეადგენს:

- პროფესორი - 16
- ასოცირებული პროფესორი - 3
- ასისტენტ პროფესორი - 4

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელსაც გავეცანით სტრატეგიულ მიმოხილვისა და გეგმის 8.5. ქვეთავში.

მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, როგორცაა პერსონალის CV-ები, პირადი საქმეები და ასევე, საექსპერტო შეხვედრების დროს განხორციელებული ინტერვიუები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს - 23 აკადემიური და 29 მოწვეული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- თვითშეფასების ანგარიში.
- პერსონალის პირადი საქმეები -CV.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი.
- პერსონალის შერჩევის წესი.
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მოხილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში.
- აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 .აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში დანერგილია აკადემიური პერსონალისა და მეცნიერთა ყოველწლიური აქტივობის შეფასება და შემუშავებულია განვითარების მეთოდები. შედეგების მონიტორინგს განხორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, რომელიც გეგმავს ღონისძიებებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აკადემიური პერსონალის განვითარების მენეჯერის ფუნქციები განაწილებულია და წარმოდგენილია: - მან უნდა შეიმუშაოს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მეთოდები; - ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემის თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და განვითარებას; - ხელ შეუწყოს და დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების თვალსაზრისით სილაბუსის გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში; - ჩაატაროს აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის ტრენინგები სწავლების

მეთოდოლოგიებისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით;

- უზრუნველყოს სილაბუსების განთავსება უნივერსიტეტის ელექტრონულ სივრცეში;
- მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის შესარჩევ საჩვენებელ ლექციებში;
- მონაწილეობა მიიღოს პროგრამების საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიურ შემუშავებაში.

წარმოდგენილია პროფესიული განვითარების მექანიზმები:

- ყოველი სემესტრის დასაწყისში ატარებს ტრენინგებს, აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსების შემუშავების, დაწერის მეთოდოლოგიას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპებსა და სტრატეგიებს, ეხმარება კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის, ცოდნის შემოწმების ფორმების შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს და ზომავდეს სასწავლო კურსში პერსონალის მიერ შემუშავებულ სწავლის შედეგებს.

- ქმნის ვორქშოპების საორიენტაციო შეხვედრების სტრუქტურას და გეგმას, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის დამხმარებას სილაბუსების გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში, კურსისთვის რელევანტური შეფასების სისტემის შემუშავებაში, შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების შესაბამისად.

- იყენებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ავლენს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტ მხარეებს, შეიმუშავებს სამუშაო შეხვედრების გეგმას შესაბამისი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად.

- ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს საორიენტაციო შეხვედრების განრიგს, რომლითაც ხელს უწყობს ახლად არჩეული აკადემიური პერსონალის ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში.

- არსებული აკადემიური პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის სემესტრულად გეგმავს სამუშაო სემინარებს, სადაც მათთან ერთად განიხილავს, აანალიზებს და გამოავლენს პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სტრატეგიების, ცოდნის შემოწმების ფორმების სუსტ და ძლიერ მხარეებს, აცნობს მათ განათლების სფეროში ასრეულ თანამედროვე ტენდენციებს, ხელს უწყობს თვითგანვითარების მოტივაციის ამაღლებაში.

უნივერსიტეტში აგრეთვე ხორციელდება მეცნიერის ყოველწლიური აქტივობების შეფასება გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი საქმიანობის მიხედვით, იმ შედეგებით, რასაც მიაღწია მოცემულ ვადაში.

შეფასების მეთოდი მოიცავს არა მხოლოდ ბიბლიომეტრულ მონაცემებს, არამედ ისეთ აქტივობებს, რომლებიც არ მონაწილეობენ მსგავსი ტიპის გამოთვლებში. შეფასების ეს მეთოდი მეცნიერის მოტივირების და რესურსების ადეკვატურად გადანაწილების საშუალებას იძლევა.

შეფასებები გადანაწილებულია თითოეული პუნქტისთვის გაწერილი შესაძლო მაქსიმალურ დროის, დაკისრებული პასუხისმგებლობისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით.

მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ცოდნის ფონდის მიერ გაწეული დაფინანსება

- მეცნიერის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ფართის ათვისება
- Impact Factor -იან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი
- მეცნიერის ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები
- სასწავლო პროცესში ჩართულობა (აკადემიური დატვირთვა წლის განმავლობაში, საათების რაოდენობა)
- წლის განმავლობაში დოქტორანტების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების რაოდენობა.

თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად ხდება კოეფიციენტების დათვლა.

თითოეული მაჩვენებლის გამოთვლის შემდეგ ჯამდება ყველა კრიტერიუმი და მიიღება საბოლოო ქულა.

მეცნიერების ყოველწლიური აქტივობის შეფასების შედეგების მონიტორინგს განახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი სამეცნიერო სამსახურის კოორდინატორებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმავს ღონისძიებებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა.
- თვითშეფასების ანგარიში.
- პერსონალის ფუნქციები.
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, CV-ები.
- პერსონალის შერჩევის წესი.
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში.
- აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განხორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარითა და ყველა სხვა რესურსით.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ფლობს მაღალი დონის, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურას. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის და ყოველმხრივ მოსახერხებელი როგორც სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რათა ორგანიზებულად განახორციელონ სასწავლო პროცესი უნივერსიტეტების ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით. აქვს თანამედროვედ მოწყობილი სასწავლო ოთახები ლექციებისათვის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის. ტერიტორიაზე სტუდენტებისთვის მოწყობილია კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები.

უნივერსიტეტის კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ობიექტებს:

- კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები;
- საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრი;
- უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ლაბორატორიები;
- სასწავლო ლაბორატორიები;
- ბიბლიოთეკა;
- საგამოცდო ცენტრი;
- სპორტული დარბაზი;
- კაფეტერია;
- პარკინგი.

უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე, სადაც აკადემიური ან სამეცნიერო პროცესი მიმდინარეობს ინტერნეტი ხელმისაწვდომია უსადენო ტექნოლოგიებით.

უნივერსიტეტის კამპუსი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათების მიწოდებით.

კამპუსს აქვს გათვლილი 3 ალტერნატიული მეთოდი:

კამპუსი ასევე უზრუნველყოფილია:

- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა მოქმედებს საქართველოში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
- ევაკუაციის გეგმა გამოკრულია შენობის ყველა სართულზე
- შენობაში არსებობს პირველადი დახმარების აღმოჩენის საშუალება ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
- შენობაში მოქმედებს 24-საათიანი დაცვა და სამეთვალყურეო კამერები როგორც შენობის შიგნით ყველა სართულზე ასევე შენობის პერიმეტრზე.

ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო ლაბორატორიები - სამოქალაქო ინჟინერიის ლაბორატორია, ჰიდრავლიკის ლაბორატორია, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (learning-by-doing). სტუდენტებს ლაბორატორიული სამუშაოები უტარდებათ კახა ბენდუქიძის კამპუსში არსებულ თანამედროვედ აღჭურვილ ლაბორატორიებში. მათი განმარტებით, პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური პერსონალი. თითოეულ სტუდენტს ლაბორატორიული მუშაობისას აქვს - თავისი სამუშაო სივრცე; ყველა საჭირო ხელსაწყო; მასალები - ლაბორატორიული სასწავლო ჯგუფები კომპლექტდება ამ მოთხოვნის გათვალისწინებით და ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს (სამუშაო ადგილების შესაბამისად). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია რამოდენიმე ძვირადღირებული ხელსაწყო. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ აღნიშნული ხელსაწყოების გამოყენება ხორციელდება სხვა კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა მოთხოვნილი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია შპს „აგრომეტსა“ და ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, ლაბორატორიული მეცადინეობების მიმართ ასეთი მიდგომა დადებითად აისახება სტუდენტების სწავლის შედეგებზე. პროგრამის კვლევით და აკადემიურ კომპონენტის განხორციელებაში ჩართულნი არიან, მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. ექსპერტთა მიერ შესწავლილი აკადემიური და ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეებით დადასტურდა მათი კვალიფიკაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულებას წვდომა აქვს შემდეგ სასარგებლო ბმულებზე:

JURN - მულტიდისციპლინარული სამიუბო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას აკადემიური სახელმძღვანელოების, სტატიების და ელექტრონული ჟურნალების სხვადასხვა მონაცემთა ბაზაზე.

Web of Science - მულტიდისციპლინარული სამიუბო პლატფორმა, რომელიც აერთიანებს რამდენიმე სამეცნიერო ბაზას (Web of Science Core Collection, KCI-Korean Journal Database, MEDLINE, Russian Science Citation Index, SciELO Citation Index). მოიცავს 19 000 ჟურნალს, რომლებიც წარმოდგენილია სრულ სტატიების სახით, ასევე კონფერენციების მასალებს, ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს, საპატენტო ინფორმაციასა და სხვ.

BENTHAM Open - მოიცავს ღია წვდომის, რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებს

საბუნებისმეტყველო, სოციალური, ჰუმანიტარული, მედიცინის, ტექნიკისა და სხვა დარგების შესახებ და სხვ.

ELSEVIER - წამყვანი საერთაშორისო ონლაინ გამომცემლობაა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, სტატიებს, რეფერატებს, წიგნებს და ა.შ. კონსორციუმის წევრი ორგანიზაციებისათვის ელექტრონულად ხელმისაწვდომი გახდა მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, არამხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების დონეზეც. საძიებო ბაზები: <http://www.scopus.com> და <https://www.sciencedirect.com/>

შენობა ადაპტირებულია თანამედროვე და საგანმანათლებლო ობიექტების აღჭურვისა და უზრუნველყოფის მოთხოვნებთან.

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <http://agruni.edu.ge/ge/node/570>.
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.
- ბიბლიოთეკის დებულება.
- საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია <http://agruni.edu.ge/ge/node/570>.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრალობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არსებულ სასწავლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ. ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების სწავლის გადასახადისგან შემოსული თანხა (სრული შემოსავლების 52,3%).

გარდა სტუდენტების სწავლების შემოსავლისა, აგრარულ უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (სრული შემოსავლების 25,9%), ცოდნის ფონდის პირდაპირი დაფინანსება სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისთვის (სრული შემოსავლების 5,2%) და შემოსავლები სხვა სასწავლო-პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობიდან (სრული შემოსავლების 16,6%).

აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგენს გრძელვადიანად ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.agruni.edu.ge/>
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში შემუშავებულია „ხარისხის მართვის მექანიზმები“, სადაც განსაზღვრულია შემდეგი პუნქტები - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები; ხარისხის ტოტალური უზრუნველყოფის სქემა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის ნაწილში გაწერილია ინფორმაცია სკოლის/ფაკულტეტის კოორდინატორების, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის, პროგრამების განვითარების საკითხებში პრორექტორის, სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში

პრორექტორის, სტუდენტების დეკანის ჩართულობის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების ნაწილში განსაზღვრულია შემდეგი ფუნქციები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და სემესტრული გეგმების, სილაბუსების შექმნისა და განახლების პროცესში რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა და შეფასება;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესების შესახებ დოკუმენტების შემუშავების პროცესსა და განახლებაში მონაწილეობა;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების დაგეგმვა, განხორციელება, ანალიზი და სათანადო რეაგირება;
- უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესის დაგეგმვა, სათანადო დოკუმენტაციების შემუშავება, რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა, საავტორიზაციო ვიზიტის პროცესში და ავტორიზაციის საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის მიღება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის დაგეგმვა, სათანადო დოკუმენტაციების შემუშავება, რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა, სააკრედიტაციო ვიზიტის პროცესსა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით სემესტრული ანგარიშების მომზადება და რექტორისთვის წარდგენა შემდგომი რეაგირების დაგეგმვის მიზნით.

ინტერვიუებისას ხარისხის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის” (PDCA) მიხედვით. აღნიშნული ითვალისწინებს “დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირების” პრინციპს. მოდელი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების სქემას. ის გამოიყენება უნივერსიტეტში სრული და ცალკეული პროცესების ხარისხის უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად. “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი” (PDCA) მოქმედებს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური “ხარისხის უზრუნველყოფის ციკლიდან” (PDCA) გამომდინარე - გეგმავს საკუთარ სამუშაოს, კერძოდ, გეგმავს, საქმიანობის რომელი ასპექტები უნდა შეფასდეს, რომელი სკოლები თუ საგანმანათლებლო პროგრამები და როგორი თანმიმდევრობით; ახორციელებს დაგეგმილ სამუშაოს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; აკეთებს მიღებული შედეგების ანალიზს; განსაზღვრავს აღმოჩენილი ხარვეზების მიზეზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

ინტერვიუებისას ხარისხის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერმა აქცენტი გააკეთა ხარისხის კონტროლსა და უზრუნველყოფაში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ჩართულობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გუნდური მუშაობის

შედეგად ხდება პრობლემების იდენტიფიცირება, შეთანხმება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, მისი განხორციელების გზებზე და პროცესების დაგეგმვაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა არის ინტეგრირებული ხასიათის და ეფუძნება ხარისხის განვითარების, სრულყოფის, პერსონალთან და სტუდენტებთან ღია თანამშროლობის პრინციპებს.

უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის გაცნობისას დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და სტრუქტურა ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას შეინარჩუნოს „თხელი სტრუქტურის“ (Lean Structure) იდეა, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს შეეძინათ ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერი და დაცული იყოს მათი ღირებულებები და აკადემიური თავისუფლება.

ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, კერძოდ:

- პროგრამის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი.
- სტუდენტების კითხვარი.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი - „პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში“. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პროფესიული განვითარების მექანიზმები; მოცემულია მეცნიერის ყოველწლიური აქტივობების შეფასების სქემა; აკადემიური პერსონალის განვითარების მენეჯერის ფუნქციები.

ინტერვიუებისას, კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში შიდა შეფასება ხორციელდება სისტემატურად, ტარდება სხვადასხვა სახის გამოკითხვა SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით. სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ანონიმურად შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სასწავლო კურსები, სკოლის ადმინისტრაცია, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი. კითხვარი იქმნება კონკრეტული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე და არ არსებობს წინასწარ დადგენილი ფორმა. რაოდენობრივი კვლევები ეხება სასწავლო პროცესის როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ მხარეს. კითხვარების დამუშავების შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს და სილაბუსების განახლებისთვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საშუალება აქვს შეაფასოს გამოყენებული სწავლების მეთოდების, მიდგომების, შეფასების სისტემის ეფექტიანობა და სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატურობა დასახულ მიზნების მიმართებაში. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზს, გაზომვას და მიღებული მონაცემების განხილვის შემდეგ პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიკაციას.

სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის, ლექტორების შეფასების პროცესში. ელ.ფოსტის მისამართზე მათ ეგზავნება შეტყობინება აღნიშნულთან დაკავშირებით და ელექტრონულად ავსებენ კითხვარებს. კურსდამთვრებულებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტობის პერიოდში სწორედ მათი შეფასების შედეგად მოხდა ერთი ლექტორის შეცვლა.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა SurveyMonkey სისტემაში არსებული კვლევები.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის პირველი და მეორე სტანდარტის გასაუმჯობესებელი მხარეების ნაწილში დაწესებულებას აქვს შემდეგი ჩანაწერი „შმენბელ-ინჟინერის პროფესია არ სარგებლობს სათანადო პოპულარობით. შესაბამისად, უნდა ამაღლდეს დარგის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდების დაინტერესების დონე“. აღნიშნული ჩანაწერი ნაკლებად პასუხობს მოცემული სტანდარტების კომპონენტების მოთხოვნებს. ინტერვიურებისას აღნიშნული ჩანაწერის განმარტებისას თვითშეფასების ჯგუფმა კარგად განსაზღვრა დაწესებულების გასაუმჯობესებელი მხარეები, რომელიც არ არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში. კერძოდ - კვალიფიციური ლექტორების ნაკლებობა. ასაკის გამო ხდება მათი გადინება. ახალგაზრდა ლექტორების მოყვანისას აწყდებიან პრობლემას. მათ ყავთ 4 დოქტორანტი და ცდილობენ შეუქმნან ისეთი პირობები, რომ უნივერსიტეტში მომავალში დასაქმდნენ როგორც ლექტორები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა მხრიდან გაიწერა რჩევა. სასურველია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვითშეფასების დოკუმენტის შევსებისას ამოწმებდეს აღნიშნულ საკითხს, რათა გასაუმჯობესებელი მხარეები გაიწეროს სტანდარტების კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვა და გეგმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში.
- თვითშეფასების ანგარიში.
- SurveyMonkey სისტემაში არსებული კვლევები.
- კითხვარები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშის პირველი და მეორე სტანდარტის გასაუმჯობესებელი მხარეები განსაზღვროს სტანდარტების კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი მიესალმება გარე შეფასებას. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს უნივერსიტეტი განიხილავს. კრიტიკული განხილვისა და დისკუსიის შემდეგ ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც მათი აზრით ხელს შეუწყობს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა - პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება ინფორმაციის სისტემატური შეგროვება, ანალიზი და განხორციელებული შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ინტერვიუებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროგრამის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისთვის გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საშენი მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენი ხელსაწყოების შეძენა ლაბორატორიებისთვის. სტუდენტების სურვილიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაიწყო მოლაპარაკებები იულიხის კვლევით ცენტრთან, ინჟინერიის პროგრამის სტუდენტთა გაგზავნის მიზნით. მუშაობენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით მშენებლობის მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზს. ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომლის ანალიზიც წარმოადგენს რეკომენდაციების ჩამოყალიბების საფუძველს. კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა ტარდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შეფასების მექანიზმი სისტემატურად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ვითარდება პროგრამა. მშენებლობის საბაკალავრო პროგრამისათვის დამატებით არის შემუშავებული პროგრამის მონიტორინგის და

პერიოდული შეფასების გეგმა. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ექსპერტთა მიერ განხორციელებული ინტერვიუებისას დადასტურდა თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულებთან და კომპანიის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხები, რომლის გათვალისწინებაც შესაძლებელია პროგრამის მომდევნო შეფასებისა და მონიტორინგის დროს:

-კურსდამთავრებულებს სურთ, რომ პროგრამის შესაბამის კურსებში გათვალისწინებულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა - ხარჯთაღრიცხვების წარმოება, ფორმა 2-ის შევსება. მათ ასევე აღნიშნეს, რომ არიან დასაქმებულები და უჭირთ რუსული ნორმატიული დოკუმენტაციის გამოყენება.

-კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს რუსული ენის სწავლებას, ვინაიდან ის სამშენებლო ნორმები (სნიპები), რომლებიც გამოიყენება საქართველოში, არის რუსულენოვანი. კურსდამთავრებულების უმრავლესობას არ შეუძლია აღნიშნული ნორმატიული აქტების გამოყენება პროექტირებისა და სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას რუსული ენის არცოდნის გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგებით.
- საგანმანათლებლო პროგრამით.
- სილაბუსებით.
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკით.
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზით.
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვითა და გეგმით.
- ინტერვიუს ანგარიში.
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების გეგმით.
- თვითშეფასების ანგარიში.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://www.agruni.edu.ge/ge/documents>

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა - ხარჯთაღრიცხვების წარმოება, ფორმა 2-ის შევსება. ასევე, სასურველია შეთავაზებულ იქნეს დამატებით სხვა უცხოური ენების სწავლება, რომლის ცოდნის მოთხოვნაც არის დასაქმების ბაზარზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“. ბაკალავრიატი.

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ირმა ღარიბაშვილი

ი. ღარიბაშვილი

ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ვახტანგ ბალავაძე

ხელმოწერა

ალექსანდრე წაქაძე

ხელმოწერა

გიორგი მეშველიანი

ხელმოწერა